გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №8

ქ.ქობულეთი **23 ოქტომბერი 2019 წელი**

ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ალამბრის საჯარო სკოლა, მისი დირექტორი დ.ნიჟარაძე (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ჯინ-ჯგუფი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), დირექტორი ჯილდა ჯინჭარაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს1” საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სამეურნეო საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 1591.90 / ერთი ათას ხუთას ოთხმოცდათერთმეტი ლარს და 90 თეთრს/

CPV-31300000- 18 ლარი, CPV-31500000-95 ლარი, CPV-31600000-200 ლარი , CPV-44100000-46.40 ლარი,-44400000-69.50 ლარი, CPV-44500000-315 ლარი ,CPV-44800000-769 ლარი, CPV-44900000-79 ლარი.

2.2. საქონლის ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

3.2. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით.

3.3. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

3.4. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.6. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს, ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

4.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.4. მიმწოდებლის მიერ 3.5. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლოატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.2. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული თავისი გადაწყვეტილება.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

8.6. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.07 პროცენტის ოდენობით.

8.7. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;თ

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების 9.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ წარმოშობილი სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

12. ანგარიშსწორების ვალუტა

12.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით,მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.6. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო მეორე შემსყიდველთან.

14. საქონლის მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 21 ნოემბრამდე პერიოდი.

14.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადაა 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„გამყიდველი“
შპს „ჯინ-ჯგუფი”
ს/კ N446951843
ქ. ქობულეთი თავისუფლების ქ. სანებით სადგ.მ/ტ
ა/ნ GE65TB7561136050100003

ბანკის კოდი TBCBGE22
„ თიბისი ბანკი “

ხელმძღვანელი; /ჯ.ჯინჭარაძე/

„შემსყიდველი“
ალამბრის საჯარო სკოლა
საინდ.კოდი 246957413

ტელეფონი: 877304148
„ლიბერთი ბანკი“ქობულეთის ფილიალი

ბანკის კოდი LBRTGE22

დირექტორი: /დ. ნიჟარაძე/

დანართი N1

№	საქონლის აღწერილობა	CVP - კოდი	რაოდ ე-ნობა	ერთეული ს ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1.	ელმრიცხველი	31600000	1	200	200	ქობულეთი	21/XI-მდე
2.	გადამრთველი	31300000	3	3	9.00	,,	,,
3.	როზეტი	31300000	3	3	9.00	,,	,,
4.	ნათურა	31500000	30	0.5	15.00	,,	,,
5.	ნათურა	31500000	16	5	80.00	,,	,,
6.	ცელოფნი ფისი	44100000	10	1.5	15.00	,,	,,
7.	ცელოფნის ფისი	44100000	14	1	14	,,	,,
8.	სამკაპი	44100000	10	0.3	3.00	,,	,,
9.	სამკაპი	44100000	1	1.5	1.5	,,	,,
10	მილი ½	44100000	12	1	12	,,	,,
11.	ხუფი	44100000	3	0.3	0.90	,,	,,
12.	ონკანი ეზოს	44400000	1	3	3	,,	,,
13.	ონკანი ეზოს	44400000	3	6	18.00	,,	,,
14.	ონკანი ეზოს	44400000	3	5	15.00	,,	,,
15	პაკლი	44400000	2	1	2.00	,,	,,
16	სილიკონი	44400000	1	6	6.00	,,	,,
17	ჩხირი სილიკონის	44400000	3	0.5	1.50	,,	,,
18	ჩხირი სილიკონის	44400000	15	0.6	9.00	,,	,,
19	სილიკონი აკვარიუმი	44400000	1	15	15.00	,,	,,
20	კარის საკეტი	44500000	1	50	50.00	,,	,,
21	კარის საკეტი	44500000	4	25	100.00	,,	,,
22	საჭრელი რგოლი	44500000	4	3	12.00	,,	,,
23	ანკერ ბოლტი	44500000	4	7	28.00	,,	,,
24	სვერლო /ბურღი/	44500000	1	14	14.00	,,	,,
25	ანჯამა	44500000	2	6	12	,,	,,
26	ქაფჩა	44500000	1	5	5	,,	,,
27	გამჭედი დუბელი	44500000	20	0.1	2.00	,,	,,
28	ქურო შ/ხ	44500000	1	2	2.00	,,	,,
29	დანა საკანცელარიო	44500000	1	5	5.00	,,	,,
30	ლილვაკი	44500000	1	5	5.00	,,	,,
31	ლილვაკის საცვლელი პირი	44500000	3	3	9.00	,,	,,
32	ლილვაკის საცვლელი პირი	44500000	2	2	4.00	,,	,,
33	ლილვაკი	44500000	1	8	8.00	,,	,,
34	ლილვაკი	44500000	2	12	24	,,	,,
35	ბოქლომი	44500000	1	15	15	,,	,,

	ბოქლომი	44500000	1	7	7.00	,,	,,
	ფუნჯი	44500000	1	2.5	2.50	,,	,,
	ბოქლომი	44500000	1	8	8.00	,,	,,
	ბოქლომი	44500000	1	2.5	2.50	,,	,,
	კოლერ პასტა	44800000	14	3	42.00	,,	,,
	გამხსნელი საღებავის	44800000	2	5	10.00	,,	,,
	საღებავი ემულსია 2,5 ლ	44800000	1	18	18.00	,,	,,
	საღებავი ემულსია 15 ლ	44800000	2	65	130.00	,,	,,
	საღებავი ემულსია 15 ლ	44800000	1	60	60.00	,,	,,
	საღებავი ემულსია 15 ლ	44800000	2	120	240.00	,,	,,
	საღებავი ემულსია 15 ლ	44800000	1	110	110.00	,,	,,
	ლაქი 1 ლ	44800000	1	12	12.00	,,	,,
	ლაქი 1 ლ	44800000	1	15	15.00	,,	,,
	პვა	44800000	2	10	20.00	,,	,,
	ქაღალდის თვითწებადი ლენტი	44800000	2	3	6.00	,,	,,
	საღებავი 2.5 ლ	44800000	2	20	40.00	,,	,,
	ქაფი	44800000	1	12	12.00	,,	,,
	ზუმფარა	44800000	1	4	4.00	,,	,,
	ნათლი	44800000	10	5	50.00	,,	,,
	ცემენტი	44900000	3	11.5	34.50	,,	,,
	ბათქაში მეორე პირი	44900000	5	0.5	2.50	,,	,,
	ბათქაში მეორე პირი ფასადის	44900000	1	16	16.00	,,	,,
	წებო ცემენტის	44900000	2	10	20.00	,,	,,
	წებო ცემენტის	44900000	1	6	6.00	,,	,,
							,,
	ჯ ა მ ი:				1591,90		

სულ თანხა : ერთი ათას ხუთას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 90 თეთრი.

შპს ,,ჯინ-ჯგუფი“-ს დირეტორი: ჯ.ჯინჭარაძე

სკოლის დირექტორი: დ.ნიჟარაძე

მიღება -ჩაბარების

აქტი

25 აგვისტო 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთი მხრივ შპს ,,ჯინ-ჯგუფის“-ს დირექტორი ჯილდა ჯინჭარაძე /ჩამბარებელი/ და მეორეს მხრივ სსიპ ქობულეთის საჯარო სკოლის დირექტორი დ.ნიჟარაძე /მიმღები/ ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2019 წლის 25 ოქტომბერს დადებული N8 ხელშეკრულებისა /დანართი N1 / ჩამბარებლის მიერ მიმღებზე გაცემული იქნა სამეურნეო საქონელი /ერთი ათას ხუთას ოთხმოცდათერთმეტი და 90 თეთრი/ 1591.90 ლარის.

აღნიშნული საქონელი

ჩავაბარე: ჯ.ჯინჭარაძე

მივიღე: დ.ნიჟარაძე